თუ კაცი განიზრახავს იქ უსამრთლობას, ის (იემენის ქალაქ) 'ადან აბიანშიც რომ იყოს, მას აგემებს ალლაჰი მტკივნეულ სასჯელს

გადმოცემულია აბულლაჰ იბნ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: უზენაესი ალლაჰის სიტყვებზე: {და ვინც განიზრახავს იქ ზღვარგადასულობას უსამართლოდ, მას ვაგემებთ მტკივნეულ სასჯელს} [ალ-ჰაჯ: 25] თქვა: «თუ კაცი განიზრახავს იქ უსამრთლობას, ის (იემენის ქალაქ) 'ადან აბიანშიც რომ იყოს, მას აგემებს ალლაჰი მტკივნეულ სასჯელს».

[სანდო (საჰიჰ)] [رواه أحمد والحاكم]

აბდულლაჰ იბნ მას'უდმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ახსენა უზენაესი ალლაჰის სიტყვები: {და ვინც განიზრახავს იქ ზღვარგადასულობას უსამართლოდ, მას ვაგემებთ მტკივნეულ სასჯელს} [ალ-ჰაჯ: 25], თქვა: ადამიანთაგან რომელიმე თუ ჩაიფიქრებს საკუთარ თავში და განიზრახავს, რომ მექქას აკრძალულ ტერიტორიაზე ჩაიდინოს რაიმე ცუდი ქმედება, რომელსაც ნებადართულად ჩათვლის იმ აკრძალულებიდან, რომელიც ალლაჰმა აკრძალა, სიტყვიერად, ან განზრახ მკვლელობა, ეს არის აშკარა უსამართლობა, მას ეს ჩანაფიქრები იემენში ქალაქ ადანშიც რომ იყოს, ის მაინც იმსახურებს, რომ ალლაჰი მას მოუვლენს მწარე სასჯელს ამ ყველაფრის გამო, თუნდაც არ ჩაიდინოს, მისთვის ეს ჩანაფიქრებიც საკმარისია.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/65331